

ციტირების ინდექსი - გაზრდის შესაძლებლობები

თეიმურაზ ყანჩელი (მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

სარჩევი

სარჩევი.....	2
1. შესავალი.....	2
2. მოთხოვნები ციფრულ სივრცეში განსათავსებელ ნაწარმოებისათვის.....	3
3. ნაწარმოების ციფრულ სივრცეში განთავსების შესაძლებლობანი	5
4. ციტირების ინდექსი	8
4.1. h-ინდექსის მნიშვნელოვანი თვისებები	10
5. დასკვნები	11
6. პრაქტიკული რეკომენდაციები ავტორებისთვის	14
7. ციტირების ინდექსის გაზრდა.....	17
8. გამოყენებული ლიტერატურა	20
დანართი 1	21

1. შესავალი

როგორც წესი, მკვლევარი, უნივერსიტეტის პროფესორი ან ლექტორი სამეცნიერო სტატიებს აქვეყნებს რამდენიმე მიზეზის გამო:

1.1. ახალი ცოდნის გაზიარება არის ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება. შესაძლოა ამბიცია იყოს ამის მამოძრავებელი ძალა - ადამიანის სურვილი დაამტკიცოს, რომ მან სხვა ადამიანებს ინტელექტუალურად აჯობა. არსებობს ადამიანების კატეგორია, რომლებსაც ჩვევად აქვთ ახლის მოძიება, მიუხედავად სხვა მოტივაციისა სამეცნიერო კვლევები ხდება მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი.

კიდევ ერთი დამოუკიდებელი მიზეზი შეიძლება იყოს მატერიალური დაინტერესება. პატენტის რეგისტრაცია თითქმის მთლიანად გამოგონებაზე მატერიალური ანაზღაურების პრინციპზეა დაფუძნებული.

1.2. მსოფლიოს ყველა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში არსებული მოთხოვნების შესაბამისად უმაღლესი სკოლის აკადემიური პერსონალი და სასწავლებლები მუდმივად მუშაობენ საკუთარ თავზე, ატარებენ სამეცნიერო-ტექნიკურ კვლევებს და აქვეყნებენ შედეგებს. „სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება, და თანაც, გავლენიან ჟურნალში მნიშვნელოვანია არა მარტო მეცნიერისთვის, არამედ იმ ინსტიტუტის, საზოგადოებისა თუ დარგისთვის, რომელშიც იგი მოღვაწეობს“[6]. უნივერსიტეტის ადგილი მსოფლიო

რეიტინგში მისი პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტების, მკვლევრების გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ციტირების ინდექსზეც დამოკიდებულია¹.

1.3. კვლევით ორგანიზაციებში არსებობს გარკვეული ტრადიციები და ზოგჯერ წესებიც კი, რომლების მიხედვით მეცნიერები და კოლექტივები დავალებულები არიან „გამოიმუშაონ“ სხვადასხვა სახის სამეცნიერო პროდუქტები და თუ ეს არ შეინიშნება, ასეთ კოლექტივებს უწყდება დაფინანსება.

1.4. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებში კონკურსები ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად ტარდება მაძიებლების უკვე არსებული ინტელექტუალური მიღწევების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ინტელექტუალური პროდუქციის (იურიდიულ ლიტერატურაში მოიხსენიება, როგორც "ნაწარმოები" - წიგნები, სტატიები, ანგარიშები, პატენტები, სავაჭრო ნიშნები, თეატრალური და მუსიკალური დადგმები, აუდიოვიზუალური პრეზენტაციები, და ა.შ.) რეგისტრაცია და მათი ხარისხის შეფასება [7]. ამას ახორციელებენ არა თავად ავტორები, არამედ სპეციალური ორგანიზაციები უფასოდ ან კომერციულ საფუძველზე. ასევე შეიმუშავდა ტექნოლოგიები და სისტემები, რომლებსაც კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით ორივე პრობლემის გადაჭრა შეუძლია. ასეთი საქმიანობა გაჩნდა დიდი ხნის წინ და ახლა მას ეწოდება მეცნიერებათმზომელობა ან ბიბლიომეტრია [8].

ცხადია, რომ ბიბლიომეტრიული პროცესის ინიციალიზაციისთვის ავტორმა ნაწარმოები უნდა გაასაჯაროსო ნებისმიერი მედიის (გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, კონფერენციის მასალები, ინტერნეტი და ა.შ.) ან ღონისძიებების (გამოფენები, თეატრალური და სხვა დადგმები, კონფერენციაზე გამოსვლა და ა.შ.) საშუალებით. ნაწარმოების ფორმების უმეტესობისთვის არსებობს რამდენიმე მოთხოვნა და სამი შესაძლებლობა.

2. მოთხოვნები ციფრულ სივრცეში განსათავსებელ ნაწარმოებისთვის

2.1. ნაწარმოები უნდა შეიქმნას ან დაკონვერტირდეს² ციფრულ ფორმატში.

2.2. ნაწარმოების სტრუქტურა და ფორმა უნდა შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს. მაგალითად:

- ზოგიერთი მსხვილი ინტეგრატორი³ მოითხოვს, რომ ნაწარმოების (დოკუმენტის) სათაური, ავტორთა სახელები ინგლისურ ენაზე იყოს წარმოდგენილი.

¹ <http://www.shanghairanking.com/ARWU-Methodology-2015.html>

² <http://convert.ge/ge/text.shtml>

A სტატია აციტირებს სტატია B-ს, თუ სტატია A-ს ტექსტში არსებობს ერთი მაინც მინიშნება B სტატიაზე. მინიშნება სტატია A-ში შეიძლება განთავსებული იყოს ლიტერატურის სიაში (reference) ან გვერდის სანიშნეში, სქოლიო (footnote).

ბიბლიოგრაფიული სისტემები ერთნაირად აღიქვამენ ორივე ტიპის მინიშნებას: გამოყენებული ლიტერატურის სიის ფორმით თუ გვერდის სანიშნის ფორმით მოტანილს.

C ჟურნალი აციტირებს D ჟურნალს იმდენჯერ, რამდენიც სტატიები C ჟურნალიდან აციტირებენ D ჟურნალის სტატიებს.

ბიბლიოგრაფიული მონაცემების ტრანსლიტერაცია ეროვნული ენიდან ლათინური შრიფტით ამ სიტუაციიდან შესაძლო გამოსავალი არაა.

- გამოყენებული ლიტერატურის სია არსებული სტანდარტის (მაგალითად APA სტანდარტი⁴) შესაბამისად უნდა იყოს წარმოდგენილი. ზოგიერთი მსხვილი ინტეგრატორი, როგორცაა მაგალითად Clarivate Analytics (Web of Science), ამუშავებს მხოლოდ ინგლისურ ენაზე⁵ შედგენილ გამოყენებული ლიტერატურის სიებს, ასე რომ სტატიაში ქართული შრიფტით გაკეთებული მინიშნება, ციტირებული ავტორის ციტირების ინდექსის გაანგარიშებაში მონაწილეობას არ მიიღებს. ეს წესი არ ეხება რუსეთისთვის შემუშავებულ ციტირების Web of Science სეგმენტს. ზოგიერთ ტექსტების რედაქტორს, როგორცაა MS WORD, გამოყენებული ლიტერატურის სიის სტანდარტული ფორმატში შექმნის ფუნქციას აქვს: References → Style → APA Fifth Edition → Insert Citation → Bibliography → Works Cited.

³ ინტეგრატორი - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს ელექტრონული დოკუმენტების მონაცემთა ბაზები და რომელიც მათზე წვდომას სთავაზობს

⁴ <http://www.apastyle.org/>

⁵ <https://clarivate.com/essays/journal-selection-process/>

- ეროვნულ ენაზე შედგენილ დოკუმენტებისთვის გამოიყენეთ შრიფტები UNICODE კოდირებაში⁶.

- სასურველია დოკუმენტს დაერთოს ანოტაცია (summary). იმის გათვალისწინებით, რომ სამეცნიერო საზოგადოება ძირითადად წერს და კითხულობს ინგლისურ ენაზე, სასურველია, რომ ანოტაცია ინგლისურად მომზადდეს.

- დოკუმენტი წარმოდგენილ უნდა იყოს გარკვეულ ციფრულ ფორმატში: ტექსტური ფაილები - Adobe Portable Document Format (PDF)⁷ ან სხვა ფორმატში იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენს ნაწარმოები და ავტორი სად პირებს მის წარადგენს. თანამედროვე ტექსტური რედაქტორები (მაგ. MS WORD) საშუალებას იძლევა ტექსტური ფაილის კონვერტაციას PDF ფორმატში.

3. ნაწარმოების ციფრულ სივრცეში განთავსების შესაძლებლობანი

1. ნაწარმოების განთავსება რეფერირებად რესურსზე (სტატიების კრებული, პერიოდული ჟურნალი, წიგნი, საიტი ინტერნეტში, ანგარიში და ა.შ.). რეფერირებადი და რეცენზირებადი რესურსი ნიშნავს, რომ ნაწარმოების გამოქვეყნება ხდება მისი დეტალურად შესწავლის შემდეგ, დამოუკიდებელი რეცენზენტების მიერ. რეცენზენტები კონკრეტული სფეროს სპეციალისტები არიან, როგორც წესი არ არიან გამომცემლობის რედაქციის წევრები, მუშაობენ ანონიმურად, ანაზღაურების მიღებით ან ვოლუნტარისტებად. სტატია გამოქვეყნდება მხოლოდ მათი დადებითი დასკვნის შემთხვევაში. გამოსაქვეყნებლად მიღებული მასალების მაღალი საიმედოობა, ხარისხი - ასეთი მიდგომის დადებითი შედეგია, იმატებს გამოცემის „წონა“, ნდობის ფაქტორი სამეცნიერო საზოგადოებაში, რომელიც გამოიხატება ე.წ. „გავლენის ფაქტორში“ (impact factor) [6], და ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. გამოცემის პროცესის შენელება, საინფორმაციო-საგამომცემლო საქმიანობის კომერციალიზაცია, რასაც მოჰყვება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების ტემპის შენელება - ასეთი მიდგომის უარყოფითი ფაქტორებია.

იმპაქტ-ფაქტორი - სამეცნიერო ჟურნალების მნიშვნელოვანი მახასიათებელია და ყოველწლიურად გამოითვლება სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის (ISI, აშშ) მიერ იმ ჟურნალებისთვის, რომლებიც ატვირთულია მის ბაზაში. ჟურნალის იმპაქტ-ფაქტორი არის გარკვეული პერიოდის (როგორც წესი, 3 წლის განმავლობაში) სტატიების ციტირების

⁶

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%98>

⁷ https://en.wikipedia.org/wiki/Portable_Document_Format

რაოდენობის შეფარდება ამ ჟურნალში ამ პერიოდის განმავლობაში განთავსებული სტატიების რაოდენობასთან.

ინფორმაციის წყაროზე წვდომა შეიძლება ფასიანი ან უფასო იყოს. ამას წყვეტენ თავად ავტორები, მაგრამ უფრო ხშირად - გამომცემლები, რომლებიც დებენ ხელშეკრულებებს ინფორმაციის ინტეგრატორებთან: Elsevier (თავად არის უდიდესი გამომცემელი), EBSCO, Jstor და სხვ. ამიტომ, თუ უნივერსიტეტმა შეისყიდა მონაცემთა ბაზით სარგებლობის სერვისი, სულ არაა გარანტირებული, რომ ამ ბაზის ყველა დოკუმენტის სრული ტექსტების გადმოწერა შეძლოთ - სისტემა მოითხოვს ცალკე საფასურის გადახდას ასეთი დოკუმენტებისთვის.

მსხვილი ინტეგრატორების მიერ ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შემოთავაზება, როგორც წესი, გამოწვეულია მისი მორალური დაძველებით, მომხმარებელთა მხრიდან დაბალი ინტერესითა და ინტეგრატორის მარკეტინგული პოლიტიკით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცნობილი ინტეგრატორების კომერციული საქმიანობა ძალზე მომგებიანი საქმიანობაა - Elsevier-ის შემოსავალი 2016 წელს 2.32 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა⁸, ხოლო EBSCO-ს 2015 წელს - 2.5 მილიარდი აშშ დოლარი⁹.

თუმცა, რეცენზირებადი საინფორმაციო რესურსები (ძირითადად სამეცნიერო და ტექნიკური ჟურნალები) განსხვავდებიან რეფერირების პროცესის ორგანიზებითა და მოთხოვნებით გამოსაქვეყნებელი ნაშრომების მიმართ. ბევრ ქვეყანაში პერიოდული გამოცემები (ჟურნალები) გადიან სერტიფიცირების პროცედურას მთავრობის ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ზოგიერთი გამომცემლობა, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ იწვევს ან თავს არ იწუხებს მაღალკვალიფიციური რეცენზენტების ჩართულობით. ამის გამო, ასეთი გამომცემლობების გამოცემები ვერ მოხვდება სერიოზულ ინტეგრატორთა (Web of Science, EBSCO, Scopus¹⁰) ბაზებში, რომლებიც ხარისხის თვალსაზრისით აყენებენ მაღალ მოთხოვნებს წარსადგენი გამოცემების მიმართ, რომელებიც შემდგომ წარმოადგენენ ციტირების ინდექსის და გავლენის ფაქტორის გამოთვლების მასივს. საქმე ისაა, რომ ზუსტად ისინი ნახულობენ საინფორმაციო რესურსების გაყიდვიდან დიდ მოგებას, ასე რომ, გამომცემლობების და პუბლიკაციების მიმართ ხორციელდება ძალზე მკაცრი შერჩევის მიდგომა. ამიტომ პერიოდული გამოცემების მეცნიერების წრეში უცნობი სარედაქციო საბჭოს და რეცენზენტთა შემადგენლობით, (სარედაქციო საბჭო წყვეტს სამეცნიერო ნაშრომის რეცენზიაზე გაგზავნის მიზანშეწონილობას) ინტეგრატორების დასამუშავებელი გამოცემების რიცხვში მოხვედრის შანსი მინიმალურია. ქვეყნების უმრავლესობაში არსებობს იმ გამოცემების

⁸ <https://en.wikipedia.org/wiki/Elsevier>

⁹ https://en.wikipedia.org/wiki/EBSCO_Industries

¹⁰ <http://www.elsevier.ge/assets/images/tpl/SCOPUS-GEO.pdf>

ნუსხა ან/და დაფიქსირებულია გამოცემების იმპაქტ-ფაქტორის ზღვრული მნიშვნელობა, რომლებშიც დისერტანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს დისერტაციის ძირითადი შედეგები.

2. ნამუშევრების განთავსება არარეფერირებად რესურსზე მნიშვნელოვნად შეამცირებს გზას ავტორსა და დაინტერესებულ მკითხველს შორის. დააჩქარებს კვლევის შედეგების გაცნობას. ამ სივრცეშიც არსებობს უფასო და ფასიანი მონაცემთა ბაზები. თუმცა, ფასიანი სერვისების რაოდენობა აქ გაცილებით ნაკლებია.

გამარტივებული, ზოგჯერ უფასო, საგამომცემლო პროცედურა ამ რესურსების უპირატესობაა. ხელმისაწვდომი ინფორმაციის დაბალი საიმედოობა (ხარისხი) ასეთი მონაცემთა ბაზების ნაკლოვანებაა. ამის გამო, პუბლიკაციები ამ რესურსებიდან მსხვილ ინტეგრატორთა ციტირების ინდექსების გაანგარიშებაში მონაწილეობას არ იღებენ.

ამ კატეგორიას მიეკუთვნება ფსევდო-რეფერირების პროცეს გავლილი პუბლიკაციები (ე.წ. "ნაცრისფერი" პუბლიკაციები), რომელთა რეფერირების პროცესი ფორმალურ ხასიათს ატარებს, ტარდება შეკუმშულ ვადებში (რამდენიმე დღე) და პუბლიკაციის მთელი პროცესი ატარებს აშკარად კომერციულ ხასიათს. ეს ბიზნესი აქტიურად ვითარდება ინტერნეტის საშუალებით და მას სიამოვნებით იყენებენ ისეთი ორგანიზაციების, უნივერსიტეტის მუშაკები, სადაც შესაბამისი მაკონტროლებელი სამსახურები ფორმალურად უდგებიან იმ საინფორმაციო წყაროების შერჩევას, სადაც მათი თანამშრომლები ნამუშევრებს აქვეყნებენ.

3. ნაწარმოების თავისუფალი წვდომის, უფასო რესურსებზე (Open Access) განთავსება, რეცენზირებული და არარეცენზირებული დოკუმენტების განთავსების შესაძლებლობით. ხშირად ამ რესურსებზე განთავსებულ დოკუმენტებს რეფერირების პროცესი გავლილი აქვთ და ისინი განთავსებული არიან სხვა ონ-ლაინ სერვერებზე. ამ შემთხვევაში ინტერნეტში ინფორმაცია დუბლირდება და ეს ფაქტობრივად ხდება ინფორმაციის დაინტერესებულ მომხმარებელთა წვდომის გაზრდის და გარკვეულ რესურსებზე არსებული ციტირების ინდექსის გაანგარიშების ავტომატური სისტემების გამოყენების მიზნით. წარმატებული ბიბლიომეტრიული ანალიზის ჩატარებისთვის, ასეთი რესურსი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს:

3.1. ხშირ შემთხვევაში, ის ინტერნეტში უნდა განთავსდეს.

3.2. ხელმისაწვდომი ძირითადი საძიებო სისტემებისთვის.

3.3. პრაქტიკულად მუდმივი შენახვისა და ციფრულ დოკუმენტებზე უწყვეტი წვდომის გარანტიას უნდა იძლეოდეს.

3.4. სასურველია, რომ ასეთი რესურსი ციფრული დოკუმენტის აღწერილობის და ბიბლიოგრაფიული მონაცემების ცალ-ცალკე შეტანა-გამოტანის საშუალებას

იძლეოდეს. საძიებო და ბიბლიოგრაფიულ სისტემებს "უყვართ" ისეთი რესურსები, რომლებიც ინდექსირებისთვის (საძიებო სისტემების მონაცემთა დამუშავების პროცესი) წარმოადგენენ პრაქტიკულად გამზადებულ მეტაინფორმაციას¹¹.

უნივერსიტეტების ინსტიტუტები, ზოგიერთი ფაკულტეტი, დეპარტამენტებიც კი ქმნიან დარგობრივ ელექტრონულ ჟურნალებს, რომლებსაც ხშირად აქვთ "ბლოგის" ფორმატი. ასეთი ელექტრონული რესურსები ხშირად ინდექსირდება მხოლოდ საძიებო სისტემებით, როგორცაა Google.com. და შესაძლოა სხვა სერვისებმა, როგორცაა მაგალითად scholar.Google.com (აკადემიური, სამეცნიერო-ტექნიკური ხასიათის დოკუმენტების საძიებო სისტემა დამატებითი შესაძლებლობებით), არც აღინუსხოს: ყველაფერი დამოკიდებულია Google- ის ძალიან რთულ საძიებო ალგორითმზე, რომელიც თავად გადაწყვეტს რა დოკუმენტების ინდექსირება „უღირს“^[4]. მაგალითად, პროფესორ ვლადიმერ პაპავას (ეკონომიკა) ნამუშევრებს scholar.Google.com - ი ინდექსირებს თითქმის ნებისმიერი ინტერნეტ-რესურსიდან, ვინაიდან Google-ს "ესმის" რომ აკადემიკოსი პაპავა არის დარგის წამყვანი მეცნიერი. ამავდროულად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების ვებ გვერდებზე განთავსებული სტატიების დიდი ნაწილი საერთოდ არ ინდექსირდება scholar.Google.com -ის მიერ.

იმისათვის, რომ ასეთი ტიპის, პრაქტიკულად არარეგულირებადი სამეცნიერო ნაშრომები უნივერსიტეტის სერვერიდან მოხვდნენ scholar.Google.com ინდექსებში საჭიროა რომ მათი ფორმალური გაფორმება შეესაბამებოდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რომლებსაც ავტომატურად უზრუნველყოფს ზოგიერთი პროგრამული პლატფორმა, მაგალითად, ePrints. ასეთი რესურსი თსუ-ში არსებობს: ePrints.tsu.ge. სამეცნიერო ნაშრომების, თუნდაც არარეგულირებადი, გამოუქვეყნებელი, გარკვეული მოთხოვნების გათვალისწინებით, ePrints.tsu.ge -ზე განთავსება ავტომატურად, რამდენიმე დღის განმავლობაში აისახება scholar.Google.com - ზე ინდექსირებით აქედან გამომდინარე ყველა დადებითი შედეგის მოპოვებით.

4. ციტირების ინდექსი

ციტირების ინდექსი განიხილება, როგორც მეცნიერებისა და მკვლევარების პროდუქტიულობის და ეფექტიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. ცალკე გამოცემული ნაწარმოების ციტირების ინდექსი არის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება სხვა პუბლიკაციებში ამ ნაწარმოებზე მითითების საფუძველზე. უფრო მეტიც, სხვა პუბლიკაციების ავტორები შეიძლება იყვნენ ამ ნაწარმოების ავტორები, (ე.წ. თვითციტირება). ცხადია, რომ ასეთი გამოთვლების წარმოებისათვის აუცილებელია

¹¹ მეტაინფორმაცია - ინფორმაცია ინფორმაციის შესახებ

მრავალი სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის ბიბლიოგრაფიული აღწერილობის მონაცემთა ბაზის გამოყენება. გამოყენებული ლიტერატურის pdf წამკითხვად ან სხვა ნებადართულ (არა ფოტო გამოსახულების) ფორმატში - ციტირების ინდექსების გაანგარიშების ძირითადი და აუცილებელი ელემენტია. ეს ნიშნავს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში (ჟურნალში სტატია, ინტერნეტი, წიგნი, გაზეთი და ა.შ.), რომელიც განთავსებულია ინტერნეტში, გამოყენებული ლიტერატურის სია უნდა იყოს:

- მომზადებული სტანდარტული ფორმით, ჩვეულებრივ APA სტანდარტის გამოყენებით.
- დოკუმენტში გამოყენებული ლიტერატურის სია ინგლისურ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი, ქართული ლიტერატურა UNICODE (Sylfaen, Gugeshashvili_Slfn_1, Arial Unicode MS და სხვა UTF-8 კოდირებით) შრიფტის გამოყენებით.
- ასატვირთი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს გამოყენებული ლიტერატურის სიას წარმოდგენილი უნდა იყოს PDF ფორმატში (თუ სხვა ფორმატი არაა ნებადართული), ვინაიდან ციტირების ინდექსის გაანგარიშებისთვის კომპიუტერული სისტემები ავტომატურად გახსნიან და „ამოიკითხავენ“ ამ ფორმატს.
- დოკუმენტის pdf უნდა მოიცავდეს ტექსტს, და არა დასკანერებულ სურათებს რომელთა "წაკითხვა" კომპიუტერულ სისტემებს არ შეუძლია.
- სასურველია, რომ ავტორმა ნაშრომის გაფორმებასას გარდა ზემოთ ნახსენები ფორმალური მოთხოვნებისა გაითვალისწინოს დანართი 1 მოტანილ რჩევებს.

კოლეგიალობის და ეთიკური ნორმების შესაბამისად ეს მოთხოვნები გასათვალისწინებელია ნებისმიერი ავტორის მიერ, როცა საქმე ეხება კოლეგების მიღწევების გამოყენებას ან ციტირებას. ამ ნორმების დარღვევა გამოიწვევს ციტირებული ავტორის ციტირების ინდექსის შემცირებას.

ბიბლიომეტრიაში სხვადასხვა ციტირების ინდექსს იყენებენ. ყველაზე მარტივი: ციტირების საერთო რაოდენობა ან ავტორის საერთო ციტირების რაოდენობის პუბლიკაციების რაოდენობასთან შეფარდება, მაგრამ ყველაზე ხშირად იყენებენ ჰირშის ინდექსს - h-ინდექსს¹², რომელიც მკლევრის, ორგანიზაციის, სამეცნიერო სკოლის, ზოგადად ქვეყნის პროდუქტიულობას აჩვენებს. არსებობს ინდექსის სხვა ვერსიებიც, მაგალითად, γ-INDEX¹³.

12

https://ka.wikipedia.org/wiki/H_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%98

13 <http://naukarus.com/novaya-versiya-indeksa-hirsha-j-indeks>

4.1. h-ინდექსის მნიშვნელოვანი თვისებები

- h-ინდექსის გამოთვლა პირდაპირ დამოკიდებულია იმ მონაცემთა ბაზის სისრულეზე (დოკუმენტების რაოდენობა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კონკრეტულ სფეროში), რომელიც ითვლის კონკრეტული ავტორის ინდექსს.
- h-ინდექსის გამოთვლა პირდაპირ დამოკიდებულია იმ მონაცემთა ბაზის პროფილზე (არსებობს სპეციალიზებული მონაცემთა ბაზები, როგორცაა მაგ., ბიოლოგიის და მედიცინის, და არსებობს უნივერსალური მონაცემთა ბაზები, როგორცაა Scopus), რომლებიც ითვლიან კონკრეტული ავტორის ინდექსს.
- h-ინდექსის გათვლები პირდაპირ დამოკიდებულია მონაცემთა ბაზის დოკუმენტებით შევსების პრინციპებზე. კონკრეტული ავტორის h-ინდექსი ყველაზე დემოკრატიულ, Google Scholar სისტემაში, რომელიც აინდექსირებს არარეცენზირებულ და გამოუქვეყნებელ ნაწარმოებსაც, რა თქმა უნდა, ძალზე განსხვავდება ამ ავტორის Web Of Science h-ინდექსისგან.
- h-ინდექსის გათვლები დამოკიდებულია მეცნიერების დარგზე, რომელშიც მოღვაწეობს კონკრეტული ავტორი. ცოდნის სხვადასხვა სფეროში ციტირების შედარებისთვის, შექმნილია სპეციალური რესურსი - Essential Science Indicators¹⁴, რომელიც შეიცავს ორგანიზაციებს, ქვეყნების და ცოდნის სხვადასხვა დარგის სტატისტიკას ბოლო 10 წლის განმავლობაში.
- კონკრეტული დოკუმენტის ყველა თანაავტორი თანასწორუფლებიანია და მათთვის h-ინდექსი დამოუკიდებლად გამოითვლება.
- Google Scholar h-ინდექსის გარდა ითვლის i10-ინდექსს, რომელიც იმ პუბლიკაციების რაოდენობის ტოლია, რომლებმაც მინიმუმ 10 ციტირება მოაგროვეს.
- წიგნების ციტირების ინდექსის გათვლა ხორციელდება სხვადასხვა ინტეგრატორების მიერ და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს სპეციფიურ ამოცანას¹⁵. ზოგადად კი, წიგნების ციტირების ტექნოლოგია სტატიების ციტირების მსგავსია.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს მარტივი დასკვნა: ერთი და იმავე ავტორს აქვს განსხვავებული h-ინდექსი Google Scholar, Web of Science, Scopus, EBSCO-ს სისტემებში.

¹⁴ <https://clarivate.com/products/essential-science-indicators/>

¹⁵ http://wokinfo.com/products_tools/multidisciplinary/bookcitationindex/

5. დასკვნები

- 5.1. Google Scholar ინდექსებში მოხვედრა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე Web of Science, Scopus, EBSCO, რომლებიც მხოლოდ მაღალრეიტინგულ რეცენზირებად წყაროებს ამუშავებენ.
- 5.2. Google Scholar ინდექსებში (ან ანალოგიურში) მოხვედრა ბევრად უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე Web of Science, Scopus, EBSCO მონაცემთა ბაზებში, რომლებიც ამუშავებენ რეცენზირებად წყაროებს, რომლებშიც სტატიის გამოქვეყნებას ზოგჯერ თვეები სჭირდება.
- 5.3. არსებობს ე.წ. "ნაცრისფერი" პუბლიკაციები, ღონისძიებები (მაგ, კონფერენციები), და მათი დამუშავების საფუძველზე შექმნილი მონაცემთა ბაზები, რომლებიც Web of Science, Scopus ინდექსებში მოხვედრას ადეკლარირებენ ან დამოუკიდებლად აგენერირებენ ციტირების ინდექსებს(!). როგორც წესი, ასეთი რესურსები მხოლოდ კომერციული მიზნებისთვისაა შექმნილი (პუბლიკაციისთვის ითხოვენ 30-დან 1,000 აშშ დოლარს და პუბლიკაციის პროცესი ძალიან სწრაფია) და სამეცნიერო საზოგადოებისთვის ამგვარი რესურსები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. შესაბამისად, მათი გამოყენება არაა რეკომენდირებული.
- 5.4. ყველა განხილული ინდიკატორი ატარებს სტატისტიკურ ხასიათს და არ ასახავს კონკრეტული სტატიის სამეცნიერო ღირებულებას და მისი ავტორის პროფესიულ დონეს ცალსახად ვერ დაახასიათებს [2].

ციტირების ინდექსს, ოღონდ კონკრეტული ავტორის მითითების გარეშე, იყენებენ ჟურნალის გავლენის ფაქტორის (JIF - Journal Impact Factor) გათვლისათვის. საზღვარგარეთ, JIF- ის გამოყენებით, არა მხოლოდ ჟურნალების დონეს, არამედ მათში გამოქვეყნებული სტატიების ხარისხს აფასებენ, პროექტებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას და ვაკანტურ თანამდებობების დაკავებას წყვეტენ.

JIF- ის გაანგარიშება საკმაოდ მარტივია: ჟურნალის გავლენის ფაქტორი განისაზღვრება, როგორც ერთი წლის განმავლობაში დაგროვილი ამ ჟურნალში წინა ორი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების ციტირებების (თუნდაც სხვა ჟურნალებში განთავსებული) რაოდენობის შეფარდება ამ სტატიების რაოდენობასთან¹⁶ და ამ შეფასებას აწარმოებს Web of Knowledge კომპანიის ბიბლიომეტრიული სამსახური Journal Citation Report (JCR), რომელიც ნაწილს წარმოადგენს Web of Science [10].

ასევე უნდა აღინიშნოს Scopus (ბიბლიოგრაფიული და რეფერატების შემცველი Elsevier -ის მონაცემთა ბაზა), რომელიც არ ქმნის JIF- ს, მაგრამ იყენებს სხვა ინდიკატორებს (SJR და

¹⁶ <https://goo.gl/yjnFQ4>

SNIP), რომლებიც ითვალისწინებენ არა მხოლოდ რაოდენობას, არამედ კონკრეტული სტატიების ბმულების ხარისხს.

CiteScore - პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებული თითოეული დოკუმენტის მიერ მიღებული ციტირების საშუალო რაოდენობა.

SJR - SCImago Journal Ranking (სიმაგოს ჟურნალების რეიტინგი) - გრანადა უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ჟურნალების რეიტინგი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ციტირების საერთო რაოდენობას, არამედ ციტირების მონაცემებს წლების მიხედვით და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, როგორცაა მინიშნებების “წონა”. SJR დიდად არ განსხვავდება იმპაქტ-ფაქტორისგან, მაგრამ მოიცავს ჟურნალების უფრო ფართო სპექტრს, თავისუფალი წვდომის რეჟიმში შემოთავაზებული გამოცემების ჩათვლით.

Snip - Scopus -ის მიერ შემოთავაზებულია უფრო დახვეწილი მაჩვენებელი. იგი ითვალისწინებს ციტირების დონეს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროებში, და შეიძლება გამოყენებულ იქნას პუბლიკაციების შედარებისთვის სხვადასხვა სამეცნიერო დარგში¹⁷.

რუსეთის ფედერაციაში შეიმუშავეს ციტირების საკუთარი სისტემა - რუსეთის სამეცნიერო ციტირების ინდექსი (РИИЦ), რომელიც ამუშავებს 12 მილიონ პუბლიკაციას რუსულ ენაზე, 6000-ზე მეტი რუსეთის სამეცნიერო ჟურნალში დაცულ ინფორმაციას ამ პუბლიკაციების ციტირების შესახებ.

რუსეთის ფედერაციის სამეცნიერო და სასწავლო ორგანიზაციების აქტივობას და მათი პუბლიკაციების ციტირებას ითვლის საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემა Science Index¹⁸.

Google Scholar -ი, გარდა სამი ციტირების პერსონალური მაჩვენებლის (ნაშრომების ციტირების საერთო რაოდენობა, h-ინდექსი და i10-ინდექსი), სთავაზობს ჟურნალების პოპულარობის რეიტინგებს: h5-ინდექსი, h5-მედიანა¹⁹, რომლებიც მომხმარებელს პერიოდული გამოცემების შერჩევაში ეხმარება.

ციტირების ინდექსებისა და გავლენის ფაქტორის გამოთვლის მიზნით, ინტეგრატორები იყენებენ მონაცემთა ბაზებს, რომლებიც ზოგჯერ დოკუმენტების სრულ ტექსტებს არ შეიცავენ. მნიშვნელოვანია, რომ ამ მონაცემთა ბაზებში იყოს არა მხოლოდ ჟურნალის პუბლიკაციების ბიბლიოგრაფიული მონაცემები (ავტორი, სათაური, ჟურნალის სახელწოდება, წელი, ნომერი, ტომი, გვერდები), არამედ გამოყენებული ლიტერატურის (მანქანით წამკითხვადი ფორმით და არა გამოსახულებები) სიებიც.

¹⁷ https://www.gazeta.ru/science/2012/12/19_a_4896245.shtml

¹⁸ https://elibrary.ru/project_risc.asp

¹⁹ https://scholar.google.com/citations?view_op=metrics_intro&hl=en

ამ მაჩვენებლების გაანგარიშების გარდა, ასეთი ბიბლიოგრაფიული კვლევები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევენ სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო კვლევის სხვადასხვა მიმართულებების განვითარების ტენდენციებზე და მრავალი სხვ. რიგითი მომხმარებლისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მონაცემთა ბაზების ანალიზი მისცემს საშუალებას მოძებნოს არა მხოლოდ კონკრეტულ სტატიაში ციტირებული პუბლიკაციები, არამედ სტატიები, რომლებიც აცხადებენ ამ კონკრეტულ პუბლიკაციას, განსაზღვროს კონკრეტული თემატიკით დაკავებული სამეცნიერო კოლექტივები და ცალკეული მკვლევარები და სხვა.

იმის გამო, რომ მსხვილი ინტეგრატორები სთავაზობენ საკუთარი მონაცემთა ბაზების საფუძველზე გათვლილ JIF ბაზა, ჩნდება კითხვა: რომელი კომპანიის JIF არის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დონეზე? ჩვენი აზრით, ყველაზე პოპულარულია და დაფასებული სამეცნიერო წრეებში JIF, შემოთავაზებული Clarivate Analytics-ის (ყოფილი სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი, ISI) მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ციტირების ინდექსი ითვალისწინებს იმ სამეცნიერო ჟურნალების გავლენის ინდექსს სადაც გამოქვეყნებულია ნაშრომები. ნამუშევრების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში არის საკმაოდ რთული ამოცანა - წლიდან წლამდე იზრდება მოთხოვნები წარდგენილი სტატიების დონის მიმართ და მათი რეცენზირება უფრო მკაცრი ხდება. ჟურნალების რედაქციები ზოგჯერ მოითხოვენ ვიდეო მასალების წარდგენას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კვლევების საიმედოობის დამატებით მტკიცებულებად, მაგრამ რომლებიც არ გამოქვეყნდება. არსებობს პუბლიკაციების დონის მიმართ მოთხოვნების გაზრდის ტენდენცია შედარებით დაბალი გავლენის ფაქტორის მქონე ჟურნალებშიც კი.

მასალების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალებში ერთ-ერთი ფორმალური კრიტერიუმია, რომლის მიხედვითაც ფასდება სამეცნიერო კვლევების დონე ცოდნის მომიჯნავე სფეროებში, ითვალისწინებენ ფინანსური რესურსების (გრანტების) გამოყოფის და სამეცნიერო პრემიების (მათ შორის ნობელის პრემიის) კანდიდატების წარდგენისას.

ცხადია, რომ ჟურნალებს, რომლებიც ინტეგრატორების ბაზებში მოხვედრილები არ არიან, ნულოვანი გავლენის ფაქტორი აქვთ და Web of Knowledge ან Scopus ჟურნალების სიაში მათი მოხვედრა საკმაოდ რთულია - საჭიროა მკაცრი შერჩევის კრიტერიუმების დაკმაყოფილება და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა. შერჩევის პროცესი ზოგჯერ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება. ასევე ცნობილია, რომ ყოველწლიურად, ჟურნალების გარკვეული რაოდენობა მსხვილი ინტეგრატორების მიერ დადგენილი სიიდან გამოირიცხება, ძირითადად, მათში განთავსებული პუბლიკაციების საჭირო სამეცნიერო დონის შემცირების გამო, ხოლო ავტორმა ამ ფაქტს უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებაში გავლენის ფაქტორის ინდექსი ფართოდ გამოიყენება, მას აქვს იგივე ნაკლოვანებები, როგორც ციტირების ინდექსს (ვინაიდან

ციტირების ინდექსი გამოიყენება მისი გაანგარიშებისთვის) და გარკვეულწილად სუბიექტური ხასიათი აქვს.

6. პრაქტიკული რეკომენდაციები ავტორებისთვის

6.1. ძირითადი ინტეგრატორების რეკომენდაციების შესაბამისად, სტატიები, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში, სასურველია წარმოდგენილი იყოს ინგლისურ ენაზე. ნაშრომების გამოქვეყნებისთვის სასურველია აირჩიოს ინგლისურენოვანი პერიოდული ბეჭდვითი ან ელექტრონული ჟურნალები.

6.2. სამეცნიერო კვლევის შედეგები უმჯობესია განახორციელოთ Web of Science [10], Scopus [11], EBSCO BD (და ზოგიერთ სხვათა) მიერ ინდექსირებად სამეცნიერო ჟურნალებში. თავად ჟურნალის განცხადებას, რომ იგი ინდექსირდება მსხვილი ინტეგრატორების მიერ არ დაუჯეროთ. აუცილებელად თავად გადაამოწმოთ ეს ფაქტი. ინდექსირებული ჟურნალების ჩამონათვალი იხილოთ აქ:

6.2.1. Clarivate Analytics. Web of Science <https://goo.gl/C42c4w>

6.2.2. Scopus - <https://www.scopus.com/sources.uri?zone=TopNavBar&origin=sbrowse>

6.2.3. EBSCO - <https://www.ebscohost.com/titleLists/a9h-journals.htm>

6.2.4. <https://elibrary.ru/> ПИИЦ [1] სამეცნიერო სტატიები რუსულ ენაზე.

6.2.5. შესატყვისი ჟურნალების მოძიებისთვის, გამოიყენეთ ნაკლებად სრული და სანდო ინსტრუმენტები, მაგ: <https://journals.indexcopernicus.com/>.

ამ რჩევასთან დაკავშირებული არასასიამოვნო ფაქტორია - სტატიის გამოსაცემად მიღების ხანგრძლივი პროცესი და სასურველი დონის ხელმისაწვდომი ჟურნალების შეზღუდული რაოდენობა - მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არცერთი სამეცნიერო ჟურნალი არ არის Web of Science, Scopus ან EBSCO მიერ ინდექსირებული[6]. 2017 - 2018 თსუ-ს ზოგიერთი სამეცნიერო კრებულის მთავარმა რედაქტორმა დაიწყო ზემოთ აღნიშნული კომპანიების ბაზებში მოხვედრისთვის საჭირო აქტივობა, რაც უდავოდ მისასაღმებელია, მაგრამ მოითხოვს რთული პროცედურების გავლას[3].

6.3. სამეცნიერო კვლევის შედეგები უმჯობესია განათავსოთ მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. თავად ჟურნალის განცხადებას JIF რეიტინგის შესახებ ან გაუგებარი რეკომენდაციის მქონე ვებსაიტების ინფორმაციას (შესაძლოა ამ ჟურნალის მიერ არის შესყიდული ან შექმნილი) არ დაუჯეროთ. ყველაზე საიმედო მონაცემები იხილეთ ინტეგრატორების სპეციალიზირებულ რესურსებზე, მაგ. აქ:

6.3.1. Clarivate Analytics. Web of Science <https://goo.gl/C42c4w>

6.3.2. Scopus - <https://journalmetrics.scopus.com>

6.3.3. Google Scholar Metrics - <https://scholar.google.com/intl/en/scholar/metrics.html>

6.3.3. РИИЦ – www.eLIBRARY.RU <https://elibrary.ru/titles.asp>

6.3.4. მოძველებული, მაგრამ მაინც საინტერესო მონაცემებია <http://www.citefactor.org>

6.3.5. ჟურნალების რეიტინგი <http://www.scimagojr.com/>

გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სტატიების მკაცრი შერჩევა სარედაქციო საბჭოების და რეცენზენტების მიერ - ავტორებისთვის პრობლემური ფაქტორია.

6.4. თუ 1-ლი და მე-2 პარაგრაფების განხორციელება შეუძლებელია, აუცილებელია ყურადღების გამახვილება ყველაზე დემოკრატიულ ინსტრუმენტზე - Google Scholar, რომელიც ავტორებს ფაქტობრივად არავითარ მოთხოვნებს არ წარუდგენს, გარდა აკადემიურ სექტორში მოღვაწეობისა და ნაშრომების ბიბლიოგრაფიული აღწერილობის სტანდარტიზაციისა.

სინამდვილეში Google Scholar აკადემიურ დარგში, გაფართოებული თვისებებისა და სერვისების მქონე საძიებო სისტემაა. Google Scholar- ის ინდექსებში მოსახვედრად აუცილებელია ინტერნეტის რომელიმე რესურსზე თქვენი ნამუშევრის განთავსება. თქვენი ნამუშევრის პირდაპირ Google Scholar- ზე ატვირთვა შეუძლებელია. Google Scholar -ის ინდექსებში გარანტირებული მოხვედრისთვის, მესამე მხარის რესურსს (ვებსაიტს) უნდა ჰქონდეს გარკვეული პროგრამული და ტექნიკური თვისებები. ასეთია, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციფრული რეპოზიტორი <http://ePrints.tsu.ge> .


Google Scholar ციტირების ინდექსის აპარატის კორექტული მუშაობისთვის ავტორმა უნდა შექმნას პერსონალური კაბინეტი [9], რომელსაც ეწოდება პროფილი²⁰. პროფილს იყენებენ სხვადასხვა ამოცანების გადასაწყვეტად რომელთაგან მინიშნებების მონაცემების კორექტირება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. საქმე ისაა, რომ Google Scholar -ის საძიებო სისტემა ინტერნეტში ეძებს და აინდექსირებს ხელმისაწვდომ აკადემიურ (და არა მხოლოდ) საერთაშორისო რესურსებს და გასაგები მიზეზების გამო მოძიებული ინფორმაცია ყოველთვის არ არის კორექტული და საჭიროებს ჩასწორებას რასაც პროფილი ემსახურება. იმის გამო, რომ Google Scholar არის Google კომპანიის ინტეგრირებული რესურსების ერთ-ერთი სერვისი, რომლის გამოსაყენებლად მომხმარებელს სჭირდება Google-ის ელექტრონული ფოსტის მისამართი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტა ფუნქციონირებს Google კომპანიის მხარდაჭერით და თსუ-ს ელფოსტის მისამართებით შესაძლებელია Google-ის ყველა სერვისის გამოყენება და გამოდგება Google Scholar პროფილის შესაქმნელად.

²⁰ ავტორის პროფილები Web of Science და Scopus სისტემებშიც არსებობს.

პროფილის შესაქმნელად ინტერნეტ ბრაუზერში შედით <https://gmail.com> ელექტრონულ ფოსტაში თქვენი პაროლით. შემდეგ, ბრაუზერის ამავე ფანჯარაში გადადით <https://scholar.google.com/> შემდეგ გადადით My Profile ბმულით. პროფილი შეიქმნება ავტომატურად. პროფილი შეავსეთ და საჭიროების შემთხვევაში ჩაასწორეთ და შემდეგ რეგულარულად გამოიყენეთ მინიშნებების ჩამონათვალის ჩასწორებისთვის და სხვა სერვისების (მაგ. შეტყობინებების) გამოსაყენებლად. პროფილთან მუშაობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თქვენი ციტირების ინდექსის გამოთვლის ეფექტიანობას. თსუ-ს ავტორთა პროფილების ნახვა შესაძლებელია ამ მისამართზე²¹.

Google Scholar -ის პროფილი (Settings → “Make my profile public” გააქტიურებულია) თქვენი პუბლიკაციების ვებ-გვერდის როლს თამაშობს. ამ გვერდზე ციტირების, h-ინდექსის, i10-index, შესაბამისი გრაფიკით და თანაავტორების ჩვენებით²².

პროფილიდან შესაძლებელია თქვენს სტატიებზე ახალი ციტირების შესახებ ან თქვენი თანაავტორების მიერ გამოქვეყნებული სტატიების ოპერატიული შეტყობინების მიღება.



მსგავსი სისტემა ხელმისაწვდომია Scopus -ში (Scopus Author Identifier), რომელიც ასევე უნდა იქნას გამოყენებული თქვენი სტატიების ციტირებების მოსაწესრიგებლად. ძალზე სასარგებლო არის ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მართვის უფასო პროგრამა

21

https://scholar.google.com/citations?view_op=view_org&hl=en&org=7037260844486590903&before_author=bHWGyoCAAJ&astart=0

22 მოხსენით “Make my profile public” თუ ამ გვერდის გასაჯაროება არ გსურთ

Mendeley²³ (კომპანია ELSEVIER-ის პროდუქტი), რომელიც სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების PDF ფორმატში შენახვისა და დათვალიერების (Elsevier Scopus და ScienceDirect მონაცემთა ბაზების გამოყენებით) საშუალებას იძლევა და დაკავშირებულია მეცნიერ-მუშაკების და მკვლევრების საერთაშორისო სოციალურ ქსელთან.

ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მართვის ძალზე პოპულარული სისტემა Zotero²⁴ არ არის დამოკიდებული კონკრეტულ მონაცემთა ბაზებზე, აქვს მიერთებადი მოდულები (plug-in) MS Word და Firefox, Chrome ბრაუზერებისთვის), აგროვებს და ინახავს ბიბლიოგრაფიულ ინფორმაციას Google Scholar, JSTOR, Google Books, Amazon.com, ScienceDirect, SpringerLink და სხვა ონლაინ რესურსებიდან.

6.5. თქვენს ნაშრომზე მინიშნებების მოსაძებნად მხოლოდ მსხვილი ინტეგრატორების მონაცემთა ბაზების გამოყენება ზოგჯერ არ არის საკმარისი ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ამუშავებენ მხოლოდ მათ მონაცემთა ბაზებში არსებულ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში, მიმართეთ ალტერნატიულ მეთოდებს²⁵.

7. ციტირების ინდექსის გაზრდა

7.1. რაც შეიძლება ხშირად მოამზადეთ და დააგზავნეთ აქტუალური სამეცნიერო სტატიები და ხელნაწერები ჟურნალების რედაქციების სახელზე.

7.2. მოიძიეთ სათანადო საშუალებებით, კონტაქტში შედით და გაუგზავნეთ თქვენი სტატიები ან მათი ვებ-მისამართები (URL-ბი) თქვენს სამეცნიერო სფეროში ცნობილ მკვლევრებს (რომლებსაც თქვენ ჯერ არ იცნობთ) წაკითხვის, კომენტარის გაკეთების, გაზიარების თხოვნით. კერძოდ, ნებისმიერ თემაზე სტატიების მოძიებისას researchgate.net, Google Scholar-ში ან სხვა სისტემებში სტატიის შესატყვისი საძიებო სიტყვების გამოყენებით, მოძებნეთ მკვლევარები, რომლებიც მუშაობენ ამ თემაზე, გაეცანით მათ ნამუშევრებს, შესაბამისად, თქვენს სტატიაში გააკეთეთ მათ ნაშრომებზე მინიშნება ან ციტირება გააკეთეთ და თქვენი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ გაუგზავნეთ თქვენი სტატიის ბმული და მიმართეთ თხოვნით თქვენი სტატია მათ მომავალ ნაშრომებში მოიხსენიონ შესაბამისი ციტირებით. ყველაზე ციტირებადი ავტორების ნუსხა იხილეთ აქ: <https://clarivate.com/hcr/>. არ მოგერიდოთ (ნაკლებად მოსალოდნელია, მაგრამ მაქსიმუმ თქვენი პოტენციური კოლეგა უბრალოდ არ გიპასუხებს) და თუ თქვენ თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად იმოქმედებთ ამ მიმართულებით (შედეგი - კოლეგების წრის გაფართოება, მაღალრეიტინგული მინიშნებების კოლექცია და ა.შ.) ერთ-

²³ <https://www.mendeley.com/>

²⁴ <https://www.zotero.org/>

²⁵ http://lib.guides.umd.edu/bibliometrics/Alternative_methods

ორ წელიწადში თქვენ საგრძნობლად გაიუმჯობესებთ თქვენს რეიტინგს საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე.

7.3. აქტიურად გამოიყენოთ აკადემიური სოციალური ქსელების სხვადასხვა ონლაინ რესურსები: www.researchgate.net, www.mendeley.com, www.ssrn.com, <http://www.aipuniphys.org/Portal/Portal.aspx> და სხვა. სავსებით გონივრული და ეფექტის მომტანია გლობალური სოციალური ქსელების, მაგალითად Facebook, გამოყენების სურვილი მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელის ეფექტიან გამოყენებას დასჭირდება ელ-მარკეტინგის გარკვეული ცოდნა. ვიკიპედიები ძალზე მნიშვნელოვანი რესურსია თქვენი ნაშრომებისკენ მინიშნებების განსათავსებლად²⁶. თქვენ თავად შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ ვიკიპედიაში როგორც ავტორი და ჩაამატოთ ბმული თქვენი ნაშრომისკენ რელევანტურ სტატიაში.

7.4. არ გამოაქვეყნოთ ნაშრომები ფასიან "ნაცრისფერ" გამოცემებში და გამომცემლობებში, რომლებიც ბოლო დროს უხვად გაჩნდა ინტერნეტში. უფრო რთული და შრომატევადია ხელნაწერების გაგზავნა მაღალი გავლენის ფაქტორის მქონე უცხოურ ჟურნალებსა და გამომცემლობებში, რომლებიც შედიან ციტირების საერთაშორისო ბაზებში და ნაშრომების დეპონირება <http://ePrints.tsu.ge> -ზე, სამაგიაეროდ ეს გზა სანდო და უპრობლემოა.

7.5. თანაავტორებად შეირჩიეთ კოლეგები, რომლებსაც ციტირების მაღალი მაჩვენებლები აქვთ ან/და ითანამშრომლეთ უცხოურ, ინგლისურენოვან თანაავტორთან. h-ინდექსის „გადმოსახედიდან“ გაცილებით გონივრულია იყოთ კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორი, რომელშიც თანაავტორებად აკადემიკოსები, ინსტიტუტების დირექტორები, ცნობილი მეცნიერები, ჟურნალების მთავარი რედაქტორები და ამ ჟურნალების აქტიური რეცენზენტები გეყოლებათ.

7.6. კოლეგებს დაუკავშირდით და მოილაპარაკეთ ციტირებისა და მინიშნებებით ურთიერთგაცვლის შესახებ. მინიშნებების გაცვლა ძალზე ეფექტურია თუ ხდება ერთი და იმავე ჟურნალის და მისი ნომრის ფარგლებში.

7.7. ყველა სტატიაში მიუთითეთ სრულყოფილი და ზუსტი მონაცემები თქვენს შესახებ და თქვენი მუდმივი სამუშაო ადგილი. მიაქციეთ ყურადღება თქვენი გვარის და სახელის ერთსახოვან ტრანსლიტერაციას უცხო ენაზე. მაგ.: არ უნდა იყოს „Kaha“, „Kakha“, „Kakhaber“

7.8. ყველა სამეცნიერო ნაშრომს დაურთეთ გამოყენებული ლიტერატურის ამომწურავი და სრული სია, რომელიც მოიცავს საკუთარი ნაშრომების ციტირებას და კოლეგების ნაშრომების მინიშნებებს. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლოა შემდგომში მათთვის თქვენი სტატიის გაცნობის და ციტირების თხოვნით მიმართვა მოგიწიოთ.

²⁶ Kousha, K., & Thelwall, M. (2017). Are wikipedia citations important evidence of the impact of scholarly articles and books?. *Journal of the Association for Information Science and Technology*, 68(3), 762-779.

7.9. გამოყენებული ლიტერატურის სიის გაფორმება ერთ-ერთ მიღებულ საერთაშორისო სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს.

7.10. თუ სტატია ეროვნულ ენაზეა მომზადებული, სასურველია ბიბლიოგრაფიული აღწერა და ანოტაცია ინგლისურად იყოს შედგენილი.

7.11. უნდა გაზარდოთ თვითციტირება (ადრე გამოქვეყნებული სტატიების ბმულები).

7.12. ციფრული ფორმით ასატვირთი ნაშრომის გაფორმება, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს (იხ. დანართი 1). ეს მოთხოვნები უმნიშვნელოა <http://ePrints.tsu.ge> -ზე ატვირთვის დროს, ვინაიდან ყველა საჭირო ბიბლიოგრაფიული და სხვა მონაცემი აიტვირთება დამოუკიდებლად ცალკე ველებში.

7.13. პირად პროფილში საჭირო მინიშნებების მხარდასაჭერად და მათი სამეცნიერო ნაშრომების მომზადების ეტაპზე გამოყენებისთვის გამოიყენეთ სპეციალიზებული რესურსები²⁷.

7.14. ხარისხიანი და ინფორმაციულად მდიდარი ანოტაციების (abstracts) ინგლისურ და ეროვნულ ენაზე შეადგინეთ თქვენს სამეცნიერო სფეროში მიღებული ტერმინოლოგიის გამოყენებით. ანოტაციაში გამოიყენეთ საკვანძო სიტყვები განსაკუთრებით პირველ სამ პარაგრაფში.

7.15. ყურადღებით შეარჩიეთ საკვანძო სიტყვები ეროვნულ და ინგლისურ ენაზე (რასაც, სამწუხაროდ, ავტორები *ნაკლებ* ყურადღებას უთმობენ).

7.16. თუ რედაქციასთან სარედაქციო ლიცენზიის ხელშეკრულება საშუალებას იძლევა, ხშირად განათავსეთ თქვენი უკვე გამოქვეყნებული ნაშრომები თავისუფალი წვდომის ქსელებში, რისთვისაც ისარგებლეთ <http://ePrints.tsu.ge> -ით. აქედან თქვენი ნაშრომები რამდენიმე დღეში გაჩნდებიან scholar.Google.com სისტემაში, კერძოდ თქვენს პროფილში.

7.17 <http://ePrints.tsu.ge> -ზე, რედაქციასთან შეთანხმებით, განათავსეთ პრეპრინტები²⁸, რომლებიც დააჩქარებენ სამეცნიერო საზოგადოების თქვენი სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გაცნობას და, შესაბამისად, გაამდიდრებს ციტირებას .

ავტორი მადლობელი იქნება ამ ნაშრომის ნებისმიერი მეთოდით გაზიარებისთვის და ციტირებისთვის. ნებადართულია, შეთანხმების გარეშე, ამ ნაშრომის ნებისმიერი ნაწყვეტის კოპირება წყაროს აუცილებელი მითითებით. არასანქცინირებულ კოპირებას (ციტირების ან მინიშნების გარეშე) მოჰყვება იურიდიული პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.

²⁷ <http://www.connotea.org>

²⁸ პრეპრინტი - წინასწარ დაბეჭდილი სამეცნიერო გამოცემა
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=10&t=4438>

8. გამოყენებული ლიტერატურა

1. Moskaleva, O., Pislyakov, V., Sterligov, I., Akoev, M., & Shabanova, S. (2017). Russian Index of Science Citation: Overview and Review.
2. А.Д. Полянин. (2014). Недостатки индексов цитируемости и Хирша. Индексы максимальной цитируемости. http://eqworld.ipmnet.ru/ru/info/sci-edu/Polyanin_IndexH_2014.html
3. Huh, S. (2017). How to successfully list a journal in the Social Science Citation Index or Science Citation Index Expanded. Korean journal of medical education, 29(4), 221. <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC5717410/>
4. Martin-Martin, A., Orduna-Malea, E., Harzing, A. W., & López-Cózar, E. D. (2017). Can we use Google Scholar to identify highly-cited documents?. Journal of Informetrics, 11(1), 152-163. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S175115771630298X>
5. Kousha, K., & Thelwall, M. (2017). Are wikipedia citations important evidence of the impact of scholarly articles and books?. Journal of the Association for Information Science and Technology, 68(3), 762-779.
6. გაბიტაშვილი, ქეთი. (2016). რეიტინგი, იმპაქტ-ფაქტორი, h-ინდექსი. Retrieved from <https://goo.gl/spdVmZ>
7. კვლევის შეფასების ინდიკატორები. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. თსუ. ლექცია 5. https://www.tsu.ge/data/image_db_innova/5-leqcia.pdf
8. რა არის მკვლევარის ბიბლიომეტრია, მეცნიერების აუდიტი. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. თსუ. ლექცია 6. https://www.tsu.ge/data/image_db_innova/6-leqcia.pdf
9. Google Scholar, (გზამკვლევი).სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. გვ. 1-18. <https://goo.gl/ngnRMx>
10. ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები Web of Science-ში. (გზამკვლევი). სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. გვ. 1-18. https://www.tsu.ge/data/image_db_innova/WoS.pdf გვ. 1-15.
11. ბიბლიომეტრიული მაჩვენებლები SCOPUS-ში. (გზამკვლევი). სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი. გვ. 1-6. https://www.tsu.ge/data/image_db_innova/Scopus.pdf

დანართი 1

რეკომენდაციები <http://eprints.tsu.ge> -ზე ასატვირთი ციფრული დოკუმენტების მომზადების შესახებ

1. დოკუმენტი აიტვირთება pdf წამკითხვად (არა ფოტო გამოსახულების) ფორმატში, ნებისმიერ ენაზე, UNICODE შრიფტებით დაბეჭდილი.
2. ასატვირთ დოკუმენტთან ერთად ავტორი ცალკე ფაილად წარადგენს ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს.
3. ნაშრომის სათაური უნდა დაიბეჭდოს პირველი გვერდის ცენტრში 24 შრიფტის ზომით.
4. ნაშრომის ავტორების სახელები უნდა დაიბეჭდოს შემდეგი ხაზის ცენტრში 16-18 შრიფტის ზომით.
5. ორგანიზაციის დასახელება (მაგალითად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) უნდა დაიბეჭდოს შემდეგი ხაზის ცენტრში 14 შრიფტის ზომით.
6. ორგანიზაციის ქვედანაყოფი (მაგ.ფაკულტეტის დასახელება) უნდა დაიბეჭდოს შემდეგი ხაზის ცენტრში 14 შრიფტის ზომით.
7. ნაშრომის ძირითადი ტექსტი იბეჭდება შრიფტის მე-12 ზომით.